22130541

International Baccalaureate®
Baccalauréat International
Bachillerato Internacional

GEORGIAN A: LITERATURE – HIGHER LEVEL – PAPER 1
GÉORGIEN A : LITTÉRATURE – NIVEAU SUPÉRIEUR – ÉPREUVE 1
GEORGIANO A: LITERATURA – NIVEL SUPERIOR – PRUEBA 1

Wednesday 8 May 2013 (morning)
Mercredi 8 mai 2013 (matin)
Miércoles 8 de mayo de 2013 (mañana)

2 hours / 2 heures / 2 horas

INSTRUCTIONS TO CANDIDATES

- Do not open this examination paper until instructed to do so.
- Write a literary commentary on one passage only.
- The maximum mark for this examination paper is *[20 marks]*.

INSTRUCTIONS DESTINÉES AUX CANDIDATS

- N'ouvrez pas cette épreuve avant d'y être autorisé(e).
- Rédigez un commentaire littéraire sur un seul des passages.
- Le nombre maximum de points pour cette épreuve d'examen est *[20 points]*.

INSTRUCCIONES PARA LOS ALUMNOS

- No abra esta prueba hasta que se lo autoricen.
- Escriba un comentario literario sobre un solo pasaje.
- La puntuación máxima para esta prueba de examen es *[20 puntos]*.

© International Baccalaureate Organization 2013

დაწერეთ ***ერთ-ერთი*** *ტექსტის ლიტერატურული კომენტარი:*

1.

ფარნაოზ ტაშირელი 1812 წლის სამამულო ომის ვეტერანი იყო. ამას არ შეეძლო უცრემლოდ მოეგონებინა ბოროდინოს მძიმედ დაჭრილი გენერალი ბაგრატიონი, რომელსაც იგი მრავალ ბრძოლაში ახლდა და რომლის ვაჟკაცობას ახლაც აღტაცებით იგონებდა. ფარნაოზ ტაშირელი იმით ამაყობდა, რომ თავისი ხმლით ერთგულად და თავდადებით ემსახურა ხელმწიფე-იმპერატორებს.

ნაომარ, ნაჭირნახულევ და დაბერებულ აზნაურს ახლა ერთი სურვილიღა ასულდგმულებდა: სურდა ერთადერთი ვაჟი ვახტანგი წინაპრების კვალს შესდგომოდა და ისიც იმპერატორის ერთგული ჯარისკაცი გამოსულიყო.

როგორც ეს უცოლოდ დარჩენილ ქვრივ მამაკაცებს სჩვევიათ, ვაჟს მკაცრად ზრდიდა, ალერსისა და სიყვარულის გარეშე. შინ იგი ნამდვილ ფელდ-ფებელად იყო გადაქცეული. პატარა ვახტანგს ხან დამბაჩის ხმარებას ასწავლიდა, ხან ხმლის მოქნევას, ხან მანეჟში ცხენზე ჯდომას. სამაგიეროდ, ალერსიანი სიტყვა ერთხელაც არ წამოსცდებოდა. ბავშვური გასართობები პატარა ვახტანგისათვის არ არსებობდა. მამას მისთვის მხოლოდ სამხედრო სათამაშოები მოჰქონდა. ტყვიის ჯარისკაცები, მხედრები, პაწია ზარბაზნები, სათამაშო თოფები და ხმლები, დოლები და საყვირები. თანატოლ ბიჭებთან თამაშს სასტიკად უკრძალავდა. დილაადრიან ეკლესიაში წირვის მოსასმენად მიჰყავდა, მერე გიმნაზიაში ისტუმრებდა. საღამოობით, ანთებული სანთლის შუქზე, მასთან ერთად მოსკოვში დაბეჭდილ ბაქარისეულ ბიბლიას კითხულობდა, ხან მამა უჯდა ტექსტს, ხან შვილი. უფრო ხშირად შვილი კითხულობდა, რადგან როცა ამას მამა აკეთებდა, ბავშვს თვალზე რული ეკიდებოდა და ყვინთავდა.

ასე იზრდებოდა ტაშირელების გვარის ერთადერთი გამგრძელებელი.

ვახტანგი ისე გაიზარდა, რომ თეატრი ერთხელაც არ ენახა. მის მამას თეატრი სძაგდა და ახლოს არ ეკარებოდა. თუ სადმე სიტყვა მოიტანდა, იგი ყოველთვის გესლიანად დასცინოდა ხოლმე მსახიობ სანდუნოვს, ქართველი ემიგრანტის შთამომავალს და მოსკოვის აბანოების ახლანდელ მფლობელს, რომელსაც სცენაზე გაეთქვა სახელი და არა ომის ასპარეზზე, ნიმუშად და მაგალითად მხოლოდ ქართველი გენერლების ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა. საზოგადოდ კი ქართველის ერთადერთ მოვალეობად სამხედრო ცხოვრება და ომში მონაწილეობა მიაჩნდა.

დაბერებული სალდაფონი მუდამ ფხიზლად იყო, რათა მისი ვაჟი მავნე აზრებს არ აჰყოლოდა. ამიტომ გულმოდგინედ არიდებდა იმ ნაცნობ ოფიცრებს, რომლებიც რაღაცნაირად დეკაბრისტებთან იყვნენ დაკავშირებული ან მათ თანაუგრძნობდნენ.

მის ოთახში მხოლოდ ორი სურათი ეკიდა: ხელმწიფე-იმპერატორის და კავკასიის მთავარმართებლად ნამყოფი გენერალ ციციანოვის. ოთახების კუთხეები ხატებით იყო გავსებული. ყოველ ბედნიერ დღეს ხატების წინ გაუქრებლად ენთო თაფლის სანთლები. ხატებთან დაჩოქილი ფარნაოზ ტაშირელი ვაჟთან ერთად გულმხურვალედ ლოცულობდა. მის წარმოდგენაში რომანოვების ტახტი და მართლმადიდებლური მისწრაფებები ქვეშევრდომული აზრის და მიზნის უმაღლესი გამოხატულება იყო, ადამიანთა კეთილგონიერი ცხოვრების, ღვთაებრივი წესრიგის და ქრისტიანული თანხმობის შეურყეველი დასაყრდენი.

მამას ერთი რამ გამორჩა მხედველობიდან. შვილი დიდხანს რჩებოდა ხოლმე იმ ოთახში, სადაც ტაშირელების წინაპართა ხელნაწერი წიგნები იყო დაცული. ამ წიგნებში ვოლტერის ქართულად ნათარგმნი თხზულებაც იყო. ვოლტერმა კი ახალგაზრდა ტაშირელი მოსკოვის უნივერსიტეტში მიიყვანა. მართალია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სამხედრო სამსახურზე ხელის აღებას, მაგრამ ფარნაოზ ტაშირელი მაინც სერიოზულად იყო შეშფოთებული. სკოლასაც და უნივერსიტეტსაც იგი ეჭვის თვალით უყურებდა, რადგან განათლება მონარქიის და მართლმადიდებლობის მთავარ საფრთხედ მიაჩნდა. მაგალითად ევროპის განათლებულ ადამიანებს ასახელებდა, რომელთაც, შეძრწუნებით აღნიშნავდა ფარნაოზ ტაშირელი, თვით მეფეს გილიოტინაზე თავი გააგდებინეს.

შეფიქრიანებული აზნაური წარამარა პირჯვარს იწერდა და ყველა ხატს ცალ-ცალკე უჩოქებდა.

ნიკოლოზ გაბაონი, *აივნიანი ქალაქი* (1976)

2.

წერილი დედას

დავტოვე სოფელი –
მყუდრო სამყოფელი,
ქვიტკირის მარნები
და კატის კნუტები,
5 სიმინდის ყანა!

ჰა! კინტოს პროფილი,
საეჭვო ტარნები,
და დავიკუნტები
ქალაქის ქუჩებში
10 მე – სალახანა.

ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი!
ბზის განიავება, კალო და კევრი,
და სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი,
როცა ქლაქში მაწუხებს, მახელებს
15 ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი.

იქნებ ჩვენ თბილისი ხვალ ყველამ დავტოვოთ!
მინდა დღეს მივწერო დედას უსათუოდ,
იმდეროს მამასთან ის ნანა ტკბილი,
როცა გაიხარა, რომ მე მეჭრებოდა პირველი კბილი,
20 როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ,
სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი,
და ვაზის ფურცლებზე ისე გალურჯდება იქ შაბიამანი,
ვით თვალის უპე, როცა არ მახურავს ღამეში საბანი.

დედა! ინახულე
25 შენ წმინდა ხახული!
წადი ფეხშიშველი,
ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე,
ღმერთო! აპატიე, –
მე თუ ვერ მიშველი –
30 დედას, რომ დაგინთო ჩემსიგრძე სანთელი,
მისთვის, რომ ჩემს გულში
დაყუჩდეს გრიგალი და კორიანტელი.

პაოლო იაშვილი (1916)